

შპს “იალჩინმარკეტ Yalchinmarket”

ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022 წელი

ქ. ბათუმი
2023

შპს “იალჩინმარკეტ Yalchinmarket”

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	11
შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები	12
შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
შენიშვნა 9. მარაგი	13
შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები	13
შენიშვნა 11. საბანკო სესხები	13
შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი	14
შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები.....	15
შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	15

A handwritten signature in blue ink is written over a circular blue stamp. The stamp contains the text "YALCHINMARKET" and "საქართველო" (Georgia) around a central emblem.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	452,766	342,182	447,893
სავაჭრო მოთხოვნები		228,972	59,526	94,866
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები				34,110
მარაგები	9	162,009	1,082,238	1,953,750
მზა პროდუქცია				
სხვა				
სხვა მოკლევადიანი აქტივები				23,572
სულ მოკლევადიანი აქტივები		843,747	1,483,946	2,554,191
ბიოლოგიური აქტივები				
თვითღირებულების მოდელით				
გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივი	7	7,853	9,423	10,993
ძირითადი საშუალებები	6	5,991,272	6,414,234	7,204,851
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		6,842,872	7,907,603	9,770,035
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	10	6,565,629	10,032,579	9,853,038
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10			56,000
საგადასახადო ვალდებულებები	10	889,886	778,513	
გამოუმუშავებული შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	1,558,637	365,881	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10		7,630	703,891
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,014,152	11,184,603	10,612,929
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	3,812,844	5,742,788	7,510,566
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		3,691,280		
სულ ვალდებულებები		16,518,276	16,927,391	18,123,495
საკუთარი კაპიტალი	12	100	100	100
სააქციო კაპიტალი (შპს ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12	(11,164,476)	(11,204,561)	(9,644,368)
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	12	1,488,972	2,184,673	1,290,808
საკუთარი კაპიტალი		(9,675,404)	(9,019,788)	(8,353,460)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,842,872	7,907,603	9,770,035

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელოქე იალჩინ
დირექტორი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

2023 წლის 30 სექტემბერი

საქმიანობის შედეგები

	2022 წ.	2021 წ.
ნეტო ამონაგები	11,417,293	10,775,228
საქონლის გაყიდვიდან	11,414,078	10,775,228
მომსახურების გაწვიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	3,215	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,013,439)	(9,226,766)
საერთო მოგება	2,403,854	1,548,462
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(799,217)	(808,487)
ცვეთა და ამორტიზაცია	(425,862)	(428,565)
საპროცენტო შემოსავალი:		285
საპროცენტო ხარჯი:	(345,502)	(710,316)
იჯარის ხარჯი	(160,559)	(388,175)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(588,739)	(784,901)
სულ საოპერაციო ხარჯები (შენიშვნა 4)	(2,319,879)	(3,120,444)
საოპერაციო მოგება	83,975	(1,571,697)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-	-
ფინანსური აქტივები:	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: (შენიშვნა 5)	(5,542)	(9,315)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) (შენიშვნა 4)	(38,348)	20,819
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	40,085	(1,560,193)
მოგების გადასახადი:		
მოგება/(ზარალი)	40,085	(1,560,193)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	40,085	(1,560,193)
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(9,019,788)	(8,353,460)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(695,701)	893,865
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(9,675,404)	(9,019,788)

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წ.	2020 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,544,938	452,572
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,465)	(50,250)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,432,889)	(508,033)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	110,584	(105,711)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	342,182	447,893
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	452,766	342,182

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
 დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
 ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იალჩინმარკეტი Yalchinmarket“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2013 წლის 30 ივლისს. წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. (საინდეტიფიკაციო ნომერი: 445429402).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, ძირითადად საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. #16ა, კომერციული ფართი #1.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სელჩუქ იალჩინ, 61301094449 /ორმაგი მოქალაქე - საქართველო, თურქეთი/

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან განსჯას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

ზორენა მიქაძე
ბუღალტერი

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3,5040
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ ზარალში.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანო კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

• შენობა-ნაგებობები	50 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 7 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

(ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს, თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაეცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება მარტივ (ჩვეულებრივ) იჯარად.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები წრფივი მეთოდით აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი მოდელის მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. "ესტონური", მოდელი) კომპანებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ ს ჩათვლების გათვალისწინებით).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაბე
ბუღალტერი

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	784,776	793,651
საპენსიო ხარჯი	14,441	14,836
ცვეთა და ამორტიზაცია	425,862	428,565
საპროცენტო ხარჯი	345,502	710,316
საიჯარო ქირა	160,559	388,175
რეკლამის ხარჯი	1,606	15,374
კომუნალური ხარჯები	291,644	345,734
საკანცელარიო, საოფისე და კომპიუტერის ხარჯები	3,411	3,791
სატრანსპორტო და საწვავის ხარჯი	6,405	24,734
დაზღვევის ხარჯი	-	969
ბანკის საკომისიო	55,820	77,228
მომსახურების ხარჯები	48,846	105,776
სხვა საგადასახადო ხარჯები	-	45,530
კომუნიკაციის ხარჯები	360	18,862
სახელმწიფო მოსაკრებლები და გადასახადები	12,651	10,388
რემონტის ხარჯი	127,033	-
ჯარიმები	-	8,383
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	40,963	128,132
სულ	(2,319,879)	(3,120,444)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,767	61,170
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(41,115)	(40,351)
სულ	(38,348)	20,819

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2022	31.12.2021
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	3,182	1,128
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(8,724)	(10,443)
სულ	(5,542)	(9,315)

ბელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	4,761,713	200,502	1,660,308	582,328	7,204,851
შემოსვლა	-	-	14,208	36,042	50,250
გასვლა	-	(11,720)	(402,140)	(12)	(413,872)
პერიოდის ცვლა	(101,555)	(26,808)	(212,411)	(86,221)	(426,995)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	4,660,158	161,974	1,059,965	532,137	6,414,234
შემოსვლა	-	-	1,465	-	1,465
გასვლა	-	-	(135)	-	(135)
პერიოდის ცვლა	(101,555)	(26,808)	(212,411)	(83,518)	(424,292)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	4,558,603	135,166	848,884	448,619	5,991,272

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს წრფივი მეთოდის გამოყენებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.12.2021	10,993
შემოსვლა	-
პერიოდის ცვლა	(1570)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	9,423
შემოსვლა	-
პერიოდის ცვლა	(1570)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	7,853

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელაჟე იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	121,137	22,057
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	81,598	64,836
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	250,031	255,289
	452,766	342,182

შენიშვნა 9. მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	156,418	1,079,533
ნედლეული და მასალები	-	-
სხვა მარაგი	5,591	2,705
სულ	162,009	1,082,238

შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	6,565,629	10,032,579
საგადასახადო ვალდებულებები	889,886	778,513
მოკლევადიანი სესხები	1,558,637	365,881
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	7,630
სულ	9,014,152	11,184,603

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი (გადახდილი) მოგების გადასახადი	7,153	7,153
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	176,728	70,495
შენატანები საპენსიო ფონდში	46,771	-
საპენსიო ანარიცხები	153	31,477
გადასახდელი დღგ	6,138,677	4,494,851
გადახდილი დღგ	(5,651,334)	(3,997,201)
ქონების გადასახადი	171,502	171,502
სოციალური გადასახადი	236	236
სულ	889,886	778,513

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელაჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

შენიშვნა 11. საბანკო სესხები

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტიდან, „სს თიბისი ბანკისაგან“, აღებული იქნა ფიქსირებულგანაკვეთიანი გრძელვადიანი სესხები ლარში და (აშშ დოლარში). საპროცენტო განაკვეთები: წლიური 7.5% (აშშ დოლარი) და 12% (ლარი). სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით. სესხების დაფარვის თარიღებია: (აშშ დოლარში) - 2023 წლის იანვარი და 2028 წლის ივნისი, ლარში - 2023 წლის იანვარი და დეკემბერი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სს თიბისი ბანკის“ სესხების მონაცემები:

	31.12.2022	31.12.2021
გადახდილი მირითადი თანხა (გრძელვადიანი)	1,427,977	2,339,811

ბანკის საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 100 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბერი - 100 ლარი).

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021	100	(9,644,368)	1,290,808	(8,353,460)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	893,865	893,865
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(1,560,193)	-	(1,560,193)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	100	(11,204,561)	2,184,673	(9,019,788)

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაძე
ბუღალტერი

კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	(695,701)	(695,701)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	40,085	-	40,085
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	100	(11,164,476)	1,488,972	(9,675,404)

შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მავონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სელჩუქ იალჩინ. / ორმაგი მოქალაქე - საქართველო, თურქეთი/

ტრანზაქციები ხელმძღვანელთან:

	31.12.2022	31.12.2021
ანაზღაურების მთლიანი თანხა	36,000	36,000

შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2023 წლის 30 სექტემბერი

შორენა მიქაბე
ბუღალტერი